2019 წლის 02 ივლისის №172 ხელშეკრულებასთან

შეთანხმება №1

ჭიათურა

ერთის მხრივ სსიპ თვითმმართველი ერთეული ჭიათურის მუნიციპალიტეტი, მისამართი: ჭიათურა, ნინოშვილის ქ.№7, ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის გივი მოდებაძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შპს „insight"-ის დირექტორის გიორგი მეგრელიშვილის სახით შემდგომში „მიმწოდებელი", მისამართი: ჭიათურა, აბაშიძის ქ.№17, საიდენტიფიკაციო კოდი: 215613405 ორივე ერთადწოდებული, როგორც „მხარეები", ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და მხარეთა შორის 2019 წლის 02 ივლისის №172 ხელშეკრულებით, რომელიც ითვალისწინებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მანდაეთში სასაფლაოს შემოღობვას და ქვედა ბერეთისის ყოფილი ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია/კეთილმოწყობის სამუშაოებს მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ბერეთისაში ყოფილი ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია/კეთილმოწყობა, სადაც განთავსდება ბიბლიოთეკა, ამბულატორია და კლუბი(შედგომში - სამუშაო), დანართის შესაბამისად."
2. ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული თანხა დაკორექტირდეს და ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვროს 17051,63 ლარით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
3. ხელშეკრულების სხვა პირობები დარჩეს უცვლელი. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ამ შეთანხმებაში მითითებული თარიღიდან.
4. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ელექტრონული ფორმით.
5. აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2019 წლის 02 ივლისის №172 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი:

სსიპ თვითმმართველი ერთეული ჭიათურის მუნიციპალიტეტი

მისამართი: ჭიათურა, ნინოშვილისქ.№7
საიდენტიფიკაციოკოდი 215609544
სს "საქართველოს ბანკი"
ბანკისკოდიBAGAGE22
ანგარიშის № GE89BG0000000951640600
ტელ: 0 479 251554; 0 479 251081

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერი

გივი მოდებაძე

Self Governing Unit of Tchiatura Municipality
Digitally signed by Self Governing Unit of Tchiatura Municipality
Date: 2019.08.09 16:43:52 +04'00'

მიმწოდებელი:

შპს „insight"

მისამართი: ჭიათურა, აბაშიძის ქ.№17
საიდენტიფიკაციო კოდი 215609544
ტელ: 557 265 550
საბანკო რეკვიზიტები სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BACAGE22
ანგარიშის № GE93BG0000000230811800

შპს „insight"-ის დირექტორი:

გიორგი მეგრელიშვილი

Giorgi Megrelishvili
Digitally signed by Giorgi Megrelishvili
Date: 2019.08.09 17:41:45 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომის(N51 701, 26.03.2019)

ოქმი N172/1

ჭიათურა 07.08.2019 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდა:

ზურაბ წიქარიშვილი-პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის თავმჯდომარე;

დავით ბრეგვაძე-პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობის ზედამხედველობის, არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;

ლევან ბიწაძე-პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის სამი წევრი: ზაზა ჯოხაძე, ალექსანდრე ციცქიშვილი, გიორგი ცარციძე(მივლინება).

ხდომაზე მოწვეული პირი:

ელიზბარ ბოყოველი- ტექნიკური ზედამხედველი.
ნონა ჩიხელიძე-იურიდიული განყოფილების მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

მდივნის ფუნქცია - ადმინისტრაციული სამსახურის მე-3 რანგის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საოქმო, არქივისა და საქმისწარმოების საკითხებში ნანა პაპიძე.

დღის წესრიგი:

„2019 წლის 02 ივლისს „ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „imsight"-ს (დირექტორი გიორგი მეგრელიშვილი) შორის გაფორმებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N172 ხელშეკრულების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ზურაბ წიქარიშვილი/

მოისმინა: დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

მომხსენებელმა კომისიას განსახილველად წარმოუდგინა შპს „insight"-ს დირექტორის გიორგი მეგრელიშვილის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მომართული წერილი(რეგისტრაციის N6022,51) რომელშიც შემსრულებელი აღნიშნავს, რომ სოფლის მხარდაჭერის ფარგებში გაფორმებული N172 ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მანდაეთში სასაფლაოს შემოღობვას ციცვიძეების, გელაშვილების, ზედვაკისა და ჩიგინეების უბანში და სოფელ ქვედა ბერეთისაში ყოფილი ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია/კეთილმოწყობის სამუშაოებს. პრობლემა შეექმნა სასაფლაოს შემოღობვის ობიექტზე , რაც გამოწვეულია ლითონის სხვადასხვა ნაკეთობაზე ბოლო პერიოდში ფასების მკვეთრი გაზრდით, რაც ორჯერ აღემატება ხელშეკრულების დანართში(ხარჯთაღრიცხვაში)მოცემულ ფასებს და სთხოვს მუნიციპალიტეტს ხელშეკრულების პირველი მუხლის შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი" შეიცვალოს და დარჩეს მხოლოდ სოფელ ქვედა ბერეთისაში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია/კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულება და ხელშეკრულების მეორე მუხლის ხელშეკრულების ღირებულების შეცვლას (დაკორექტირებას).

საკითხზე განმარტება გააკეთა ტექნიკურმა ზედამხედველმა ელიზბარ ბოყოველმა, მან აღნიშნა, რომ N172 ხელშეკრულების პირობებში შემსრულებელი ასრულებს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ბერეთისაში

ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია/კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულებას, ხოლო დღევანდელი ფასების ზრდიდან გამომდინარე,შემსრულებელი ვერ უზრუნველყოფს სოფელ მანდაეთში ციცვიძეების, გელაშვილების, ზედვაკისა და ჩიგინეების უბანში სასაფლაოს შემოღობვას . გამომდინარე აქედან მიზანშეწონილად მიაჩნია შემსრულებლის მოთხოვნის გათვალისწინება.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს საკითხთან დაკავშირებით და აზრის გამოთქმის დროს ყველა მათგანმა დააფიქსირა, რომ გათვალისწინებული იქნას შემსრულებლის მოთხოვნა, ხელშეკრულების პირველი და მეორე მუხლის ცვლილებასთან დაკავშირებით, რადგან ხელშეკრულების დადების დროს დარღვეული იქნა საქართველოს მთავრობის 2018 წლის N654 დადგენილება, რომელიც ეხება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ მეოთხე მუხლის მე-2 პუნქტი, ფონდიდან გამოყოფილი თანხის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს კონკრეტული პროექტისათვის ფონდიდან გამოყოფილი თანხის 100 პროცენტს. გამომდინარე აქედან აღნიშნულ ხელშეკრულებაზე მეტი თანხა იყო მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნიათ მუნიციპალიტეტის მერისათვის რეკომენდაციის მიცემა ხელშეკრულების პირველი და მეორე მუხლის ცვლილებასთან დაკავშირებით .

კომისიის რეკომენდაცია:

1.მიეცეს რეკომენდაცია ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერს , 2019 წლის 02 ივლისს ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „insight-ს შორის გაფორმებული N172 ხელშეკრულების პირველი და მეორე მუხლის ცვლილებაზე. მუხლი 1. „შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი",ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ბერეთისაში ყოფილი ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია/კეთილმოწყობის სამუშაოები(სადაც განთავსდება ბიბლიოთეკა,ამბულატორია და კლუბი) და მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება: ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 17051.63 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

კომისიის წევრები:

ზურაბ წიქარიშვილი

დავით ბრეგვაძე

ლევან ბიწაძე

მდივნის ფუნქცია: ნანა პაპიძე